გურჯაანის მუნიციპალიტეტი

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ არაშენდაში მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული არასაცხოვრებელი შენობისა (განთავსებულია კულტურის ცენტრი) და საბავშვო ბაღის; დარჩეთში საბავშვო ბაღისა და მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული არასაცხოვრებელი შენობის (განთავსებულია კულტურის სახლი); ქოდალოში ბიბლიოთეკის და საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები.

სატენდერო დოკუმენტაცია

2016 წელი
ქ. გურჯაანი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

- სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) შესყიდვების პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგანეტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად.
- ელექტრონულ ტენდერთან/გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
- ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.
- სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ბეჭდის არარსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთული უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).
- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.
- პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისგან: დიანა რაქვიაშვილი ტელ: 577 157185; ელ-ფოსტა: gurjaanismunicipaliteti@gmail.com ქ.გურჯაანი, ი.ნონეშვილის გამზ.#13.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1. პრეტენდენტმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთოს შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

2.1.1. ინფორმაცია რეკვიზიტების შესახებ;
(ინფორმაცია რეკვიზიტების შესახებ უნდა შეივსოს ტექნიკური დოკუმენტაციის დანართი N1 შესაბამისად);

2.1.2. გაფასებული ხარჯთაღრიცხვა;
(ხარჯთაღრიცხვა შევსებული უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტაციის დანართის სახით და ხარჯთაღრიცხვა გაფასებული უნდა იყოს ტექნიკური დავალების 3.3.1. პუნქტში მითითებული სავარაუდო ღირებულებების ფარგლებში.

2.1.3. ინფორმაცია გამოცდილების თაობაზე;
(ინფორმაცია გამოცდილების თაობაზე უნდა შეივსოს ტექნიკური დოკუმენტაციის დანართი N2 შესაბამისად; ***პრეტეტენდენტს უნდა გააჩნდეს*** *2014 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 ივნისამდე მინიმუმ 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოების შესრულების გამოცდილება;* ***პრეტენდენტმა სისტემაში უნდა ატვირთოს ინფორმაციაში მითითებული სამუშაოების დამადასტურებელი ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები).***

3. ტექნიკური დავალება

3.1.შესყიდვის ობიექტი:
- სოფელ არაშენდაში მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული არასაცხოვრებელი შენობის (განთავსებულია კულტურის ცენტრი) რეაბილიტაციის სამუშაო;
- სოფელ არაშენდაში საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაო;
- სოფელ დარჩეთის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაო;
- სოფელ დარჩეთში მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული არასაცხოვრებელი შენობის (განთავსებულია კულტურის ცენტრი) რეაბილიტაციის სამუშაო;
- სოფელ ქოდალოში საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაო;
- სოფელ ქოდალოში ბიბლიოთეკის ნაწილობრივი რეაბილიტაციის სამუშაო;

შესასრულებელი სამუშაოების დეტალური აღწერილობა მოცემულია გასაფასებელ ხარჯთაღრიცხვაში (დანართი) და თანდართულ დოკუმენტაციაში.

3.2. სამუშაოს მიწოდების ვადა:
სამუშაოების მიწოდება უნდა დასრულდეს ხელშეკრულების **გაფორმებიდან 2 (ორი) თვის ვადაში.**

3.3. სატენდერო წინადაების ფასი და ანგარიშსწორების პირობები
3.3.1. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება **25959** ლარი (დღგ_ს გარეშე);
მათ შორის:
- სოფელ არაშენდაში მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული არასაცხოვრებელი შენობის (განთავსებულია კულტურის ცენტრი) რეაბილიტაციის სამუშაო - 3389 ლარი;
- სოფელ არაშენდაში საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაო - 2490 ლარი;
- სოფელ დარჩეთის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაო - 2537 ლარი;
- სოფელ დარჩეთში მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული არასაცხოვრებელი შენობის (განთავსებულია კულტურის ცენტრი) რეაბილიტაციის სამუშაო - 9749 ლარი;
- სოფელ ქოდალოში საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაო - 5930 ლარი;

- სოფელ ქოდალოში ბიბლიოთეკის ნაწილობრივი რეაბილიტაციის სამუშაო - 1864 ლარი;

3.3.2. დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

3.3.3. პრეტენდენტი წინადადების ფასში არ ითვალისწინებს დღგ-ს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დღგ-ს გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შერჩევა-შეფასება განხორციელდება წარმოდგენილი წინადადების ფასების მიხედვით. შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების ღირებულებაში გაითვალისწინებს სატენდერო წინადადების ფასის შესაბამის დღგ-ს ოდენობას, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისთვის პრეტენდენტი არის დღგ-ს გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის შემთხვევაში პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი ორგანოდან.

3.3.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, დადასტურებული შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის, შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის საფუძველზე, მათი წარდგენიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) საბანკო დღისა.

3.3.5. ა) შესაძლებელია საავანსო ანგარიშსწორება საქართველოში მოქმედი საბანკო ან/და სადაზღვეო დაწესებულების მიერ გაცემული წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტიის წარმოდგენის შემდეგ, რომლის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მისაწოდებელი სამუშაოს **ღირებულების 30% –ს**. (მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოთა მიწოდების საბოლოო ვადას.) მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 30%–ს შემსყიდველი გადაიხდის საავანსო გარანტიის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) საბანკო დღეში. ავანსის გაცემის შემთხვევაში საავანო თანხა დაკავდება ფაქტობრივად მიწოდებული სამუშაოს შესაბამისად პირველივე ტრანშ(ებ)ზე.

ბ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-26[2] მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნათა თანახმად მიმწოდებელი, როგორც თეთრ სიაში რეგისტრირებული პირი, წარმოადგენს წინასწარი გადასახდელი თანხის (რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მისაწოდებელი სამუშაოს **ღირებულების არაუმეტეს 30% –ს**) ნახევრის ოდენობის გარანტია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

3.3.6. ა) მიმწოდებელს შესრულებული სამუშაო აუნზღაურდება ეტაპობრივად, დადასტურებული შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის საფუძველზე, დოკუმენტაციის გაფორმებიდან 20 საბანკო დღის განმავლობაში.

ბ) შემსყიდველის მიერ არ ანაზღაურდება ხარჯები რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული.

3.4. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე 20%-ით ან მეტით ფასდაკლების შემთხვევაში:

3.4.1 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-11 მუხლის მე-2[1] პუნქტის გათვალისწინებით), პრეტენდენტი ვალდებულია ფასწარმოქმნის ადეკვატურობა დაასაბუთოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“, სხვა აკრედიტირებული, ან ლიცენზირებული პირის მიერ გაცემული დასკვნით. (საექსპერტო მომსახურების ხარჯებს დაფარავს პრეტენდენტი).

3.4.2. ტექნიკური დავალების 3.4.1. პუნქტში ასახული ფაქტის დადგომის შემთხვევაში, **ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების შემდეგ** (ასეთი ფაქტის დადგომის შემთხვევაში), მაგრამ **აუცილებლად**

ტენდერისათვის „გამარჯვებული გამოვლენილია“ სტატუსის მინიჭებამდე, სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტს განესაზღვრება ვადა, (მაქსიმუმ 10 სამუშაო დღის ოდენობით - ზუსტ თარიღს განსაზღვრავს სატენდერო კომისია და აცნობებს პრეტენდენტს) ტექნიკური დავალების 3.4.1. პუქნტში მოთხოვნილი დასკვნის სისტემის მეშვეობით წარმოსადგენად.

3.4.3. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დასკვნა დაზუსტებას არ ექვემდებარება.

3.4.4. სხვა აკრედიტებული, ან ლიცენზირებიული პირის მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტს დაუდგება ვალდებულება დასკვნასთან ერთად დამატებით წარმოადგინოს დასკვნის გამცემი აკრედიტირებული, ან ლიცენზირებული პირის შესაბამისი აკრედიტაციის მოწმობა, ან ლიცენზია.

3.4.5. **დასკვნის წარმოუდგენლობა ან/და უარყოფითი დასკვნის** (შეუსაბამობა სატენდერო განცხადებასთან, სატენდერო დოკუმენტაციასთან ან/და სისტემის მეშვეობით პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ/დაზუსტებულ ტექნიკურ დოკუმენტაციასთან), წარმოდგენა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

3.5. საგარანტიო ვადები (დეფექტზე პასუხისმგებლობის პერიოდი)

დეფექტებზე პასუხისმგებლობის საგარანტიო პერიოდი შეადგენს სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 წელს, გარდა მექანიკური დაზიანებისა. აღნიშნული ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი დეფექტი.

3.6. დამატებითი პირობები:

3.6.1. სისტემაში ხარჯთაღიცხვის წარმოუდგენლობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას;

3.6.2. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი გადააცილებს სამუშაოების მიწოდების დასრულების ვადას, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 1%-ის ოდენობით;

3.6.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონული სისტემაში სატენდერო წინადადების (ტექნიკური დოკუმენტაციისა და სატენდერო წინადადების ფასი) წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას 3.1. - 3.6. პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებზე:

დანართი N 1

4.რეკვიზიტები

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება

ხელმძღვანელის სახელი და გვარი

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი

საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი N

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი

ელექტრონული მისამართი

მომსახურე ბანკის დასახელება

ბანკის კოდი

ანგარიშის ნომერი

---------- ბ.ა.

პრეტენდენტი ორგანიზაცია ხელმოწერა

დანართი №2

ინფორმაცია გამოცდილების შესახებ

N	სამოშაოს დამკვეთი ორგანიზაცია	სამუშაოს დასახელება /ელ.ტენდერის შემთხვევაში SPAნომრის მითითებით/	სამუშაოს მიწოდების დრო	პროექტის ღირებულება	შენიშვნა

---------- ბ.ა.
პრეტენდენტი ორგანიზაცია ხელმოწერა

შენიშვნა: სისტემაში ატვირთული უნდა იქნას 2014 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 ივნისამდე მინიმუმ 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ღირებულების, სამშენებლო სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია : ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები.

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

ქ. გურჯაანი _____ 2016 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ელექტრონული ტენდერის spa -------- საფუძველზე:

ერთის მხრივ, **გურჯაანის მუნიციპალიტეტი** (მისამართი ქ. გურჯაანი ი. ნონეშვილის გამზ. №13. ს/კ 227765022) წარმოდგენილი მისი გამგებელის **გივი გერგიძის** სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“)

მეორეს მხრივ **_____** , (მისამართი: ————————–),(შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“)

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“, კალენდარული დღე, კვირა, თვე

1.4. „შემსყიდველი“ ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას

1.5. “მიმწოდებელი“ პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს ხელშეკრულების ფარგლებში

1.6. „სამუშაო“ _ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი

2.შესყიდვის ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1. **გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ არაშენდაში მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული არასაცხოვრებელი შენობისა (განთავსებულია კულტურის ცენტრი) და საბავშვო ბაღის; დარჩეთში საბავშვო ბაღისა და მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული არასაცხოვრებელი შენობის (განთავსებულია კულტურის სახლი); ქოდალოში ბიბლიოთეკის და საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები.**

2.2. კლასიფიკატორის კატეგორიის/ქვეკატეგორიის კოდი: 45400000

2.3. შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერილობა მოცემულია ხარჯთაღრიცხვაში და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: _____(_____) ლარს;

3.2. შესასრულებელი სამუშაოს ერთეულის ღირებულებები მოცემულია სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებას თან ერთვის;

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4.სამუშაოს მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ადგილია გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი არაშენადა, დარჩეთი, ქოდალო.

4.2. სამუშაოების მიწოდება უნდა დასრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის ---------- მდე.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1 შემსყიდველი ვალდებულია:

5.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

5.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

5.2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება;
5.2.4. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

5.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

5.2.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;
5.2.2. განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების, ტექნიკური სპეციფიკაციების და მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით;
5.2.3. ხელიმოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტებს;
5.2.4. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.3.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
5.3.2.სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოების მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება ხელშეკრულების 4.2 პუნქტით განსაზღვრულ ვადებში;
5.3.3. სამუშაოების შესრულების პროცესში შემსყიდველის შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
5.3.4. მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში მათ მიღებამდე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად;
5.3.5. უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეებისა და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა; მინიმუმადე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციისა და მტვრის გავლენა; სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი ვალდებულია თავისი ძალებითა და სახსრებით დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სამუშაოს ადგილი მანქანა მექანიზმების, მოწყობილობა-დანადგარები, მასალების, დროებითი ნაგებობისაგან და ა.შ.
5.3.5. ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო მოედნებზე;
5.3.10. სამუშაოების დასრულების შემდეგ ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია მისი მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით;

5.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:

5.4.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება.

მუხლი 6. გარანტია

6.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ სამუშაოები განხორციელდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების და მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური პირობებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;
6.2. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად შესრულებული და ჩაბარებული სამუშაოების საგარანტიო პერიოდები მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციაში და შეადგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების მომენტიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში;
6.3. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიმართვის შემდეგ არაუგვიანეს 30 დღეში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში მიმწოდებლის მიზეზით წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა;
6.4. თუ მიმწოდებელი საგარანტიო ვადის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით ვერ უზრუნველყოფს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრას, შემსყიდველი უფლებამოსილია

გაფრთხილებიდან 30 დღის ამოწურვის შემდეგ მიმართოს სასამართლოს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

7. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიხედვით, დადასტურებული შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) საბანკო დღისა.

7.2. მიმწოდებლის მოთხოვნის შესაბამისად, შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარი ანგარიშსწორება შემდეგი ფორმით: შემსყიდველის მიერ მოხდება მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს 30%–ის წინასწარ გადარიცხვა მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საავანსოდ გადასარიცხი თანხის იდენტური ოდენობის საავანსო გარანტიის საფუძველზე. საავანსო გარანტიით გათვალისწინებულ თანხას, მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 30%–ს შემსყიდველი გადაიხდის საავანსო საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 20 საბანკო დღეში. ავანსის გაცემის შემთხვევაში საავანსო თანხა დაკავდება მიწოდებული სამუშაოს შესაბამისად პირველივე ტრანშ(ებ)ზე.

7.4. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი წინასწარი ანგარიშსწორების საავანსო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას.

9. ხელშეკრულების ინსპექტირება

9.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს **გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 6 იანვრის N16 ბრძანებით შექმნილი კომისია;**

9.2. შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომლის მიზანია მათი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. ამასთანავე, მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარ შეათანხმოს შემსყიდველთან მშენებლობის პროცესში გამოსაყენებელი მასალების ხარისხი;

9.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების ან/და მათი ნაწილის შესახებ წუნდების მიზეზების მითითებით.

9.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.5. შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა, მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოების შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოების წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.

10. შესყიდვის საგნის მიღება–ჩაბარების წესი

10.1. სამუშაოების ეტაპის (სამუშაოს ჩამონათვალის) სამუშაოს დასრულების შემდეგ მიღება-ჩაბარებისთვის მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს ფორმა #2;

10.2. სამუშაოების ეტაპების მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

მუხლი 11. თანმდევი მომსახურება

მიმწოდებელმა სამუშაოების დასრულების შემდეგ, თავისი ძალებითა და სახსრებით უნდა გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან, ასევე სამშენებლო ნარჩენებისაგან.

12. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

12.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

12.2.იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი გადააცილებს სამუშაოს დასრულების ვადას, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 1%-ის ოდენობით;

12.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

12.4. ხელშეკრულების 12.3. პუნქტით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის გამცემს და გამოითხოვოს გარანტიით გათვალისწინებული თანხა.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

13.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

13.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10 %- ზე მეტი ოდენობით;

13.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

13.5. ხელშეკრულების 13.4. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს;

13.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

14. დაუძლეველი ძალა

14.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღ ნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

14.2. თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყო ვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვლდებულებისაგან;

14.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

15. დავების გადაჭრის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1.ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის ---------- და მოქმედებს:

16.1.1 ხელშეკრულების ყველა მუხლისათვის გარდა მე-6 მუხლისა 2016_წლის_____ჩათვლით;

16.1.2. ხელშეკრულების მე-6 მუხლისთვის 2018_წლის_____ჩათვლით;

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შენიშვნა: ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.